საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 10

20 13 წ. "12" 03

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო), 2013 წლის 19 თებერვალს განსახილველად გადმოეცა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში - აგრარული უნივერსიტეტი) 2013 წლის 3-11 იანვარს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, რაზეც საბჭომ იმსჯელა 2013 წლის 26 თებერავალი - 1 მარტისა და 2013 წლის 11-12 მარტის სხდომებზე (იხ. საბჭოს სხდომის ოქმები 26.02-01.03.2013, №2; 11.03-12.03.2013, №3).

საბჭო აღნიშნავს, რომ საკითხის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შესწავლის მიზნით, საბჭოს სხდომებზე მაქსიმალურად იქნა უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული პირისა თუ სხდომაზე დამსწრე საზოგადოების ჩართულობა საკითხის განხილვაში, ასევე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციებისა და არგუმენტაციის შეუზღუდავად წარმოდგენის შესაძლებლობა (იხ. საბჭოს 2013 წლის სხდომის ოქმები 26.02-01.03.2013, №2; 11.03-12.03.2013, №3).

საბჭო მიუთითებს გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებზე და აღნიშნავს შემდეგს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ბ[1]" პუნქტის, 56[1] პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მიზანია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დაწესებულება სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად;

3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მატერიალური რესურსი;

გ) ადამიანური რესურსი.

4. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭო საავტორიზაციო დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ავტორიზაციის შესახებ;

ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

5. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[4] მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 32-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულების შემოწმების შედეგად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ დაწესებულება არ შეესაბამება ერთ-ერთ სტანდარტს, აგრეთვე, თუ დაწესებულებამ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,დ" პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსთან დაკავშირებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა, არ ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევრების ან მასწავლებლების მიერ.

8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,ე" პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსთან დაკავშირებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

9. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. ამასთან, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

10. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

11. ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსთან დაკავშირებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია თუ აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მკვლევარებთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „დ" პუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

13. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის'' მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ფინანსური დავალიანება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველს.

14. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

15. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

17. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ცენტრი ახდენს უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებასა და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას; ამავე წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან, ხოლო მე-7 პუნქტის შესაბამისად, ცენტრის მიმართვის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულება 10 დღის ვადაში ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ; ამავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული დასკვნით, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

18. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" მე-5 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სხვა ქვეყნის დაწესებულებას შორის გაფორმებულია შეთანხმება გაცვლითი პროგრამის განხორციელების ან/და კრედიტების ურთიერთაღიარების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, ცენტრისგან მიიღოს წინასწარი თანხმობა, რაც შემდგომში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების ავტომატურად აღიარების საფუძველია. ასეთ შეთხვევაში ამ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლება აღიარებულად ითვლება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიუხედავად.

19. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, გარდა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამისა, განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

20. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო თავად ერთი აკადემიური წლის ხანგძლივობა 38-45 სასწავლო კვირაა.

21. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის ,,თ" პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

საბჭოს მიერ დეტალურად იქნა გამოკვლეული და შესწავლილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტალური მტკიცებულებები, ამ მტკიცებულებათა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაცია, მონიტორინგის ჯგუფის, ასევე აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლების ზეპირი ახსნა-განმარტებები, როგორც დოკუმენტაციის შესწავლა-ანალიზის, ასევე ახსნა-განმარტებების მოსმენისა და მტკიცებულებების ადგილზე გადამოწმების გზით (იხ. საბჭოს 2013 წლის სხდომის ოქმები 26.02-01.03.2013, №2; 11.03-12.03.2013, №3).

საბჭომ გამოარკვია, რომ:

1. აგრარულ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, სამართლის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევით. *კერძოდ:*

1.1 აგრარულ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული დოკუმენტაციისა და სტანდარტის დარღვევების გამოსწორების მიზნით დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აგრარული უნივერსიტეტის მიერ მითითებული 7 პროფესორიდან, არც ერთი არ იკავებს აკადემიურ თანამდებობას ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. კერძოდ, აკადემიურ პერსონალად ვერ ჩაითვლება:

ა) შალვა კვეზერელი, რომლის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დროს დაირღვა დაწესებულების მიერ დადგენილი და კანონმდებლობით განსაზღვრული წესები; აგრეთვე, იმის გამო, რომ იგი არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

ბ) მარინა/მარიამ ლეჟავა, რომელიც არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

გ) ნინო შოშიტაიშვილი, რომლის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დროს დაირღვა დაწესებულების მიერ დადგენილი და კანონმდებლობით განსაზღვრული წესები; აგრეთვე იმის გამო, რომ იგი არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

დ) ზურაბ ფიფია, რომელიც არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თავად დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, იგი მოწვეული ლექტორია და არა აკადემიური პერსონალი;

ე) რევაზ ასათიანი, რომელიც არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თავად დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, იგი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან;

ვ) ზურაბ ბერიძე, რომელიც არ ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

ზ) მარინე ლუარსაბიშვილი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დაფიქსირებულია, როგორც ასისტენტ-პროფესორი, თუმცა, აღნიშნული პიროვნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ არის ჩართული ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში.

1.2 აგრარულ უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამა, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, თეა გვარამია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე არჩეულ იქნა ასისტენტ-პროფესორად 2011 წლის 30 აგვისტოს, თუმცა, საბჭოს სხდომაზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ თეა გვარამია არ ფიქსირდებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, როგორც აკადემიური პერსონალი; ამასთან, თეა გვარამიასთან გაფორმებული იყო სემესტრული ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, იდება მოწვეულ პედაგოგებთან (იხ. 11.03-12.03.2013, №3 სხდომის ოქმი, გვ. 53 და შემდგომნი); გარდა ამისა, თეა გვარამიასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2013 წლის 1 მარტს, ხოლო, თავად, თეა გვარამიამ საბჭოს ვერ განუმარტა მისი, როგორც ასისტენტ-პროფესორის სამუშაო აღწერილობა.

საგულისხმოა, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-11 მუხლის „გ.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად, უნივერსიტეტში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის, შესაბამისად კი პროგრამების აკადემიური პერსონალით უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის, მხედველობაში მიიღება მხოლოდ სრული და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობები.

საბჭო მიუთითებს „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტზეც, რომლის შესაბამისადაც, საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასა და რეესტრში რეგისტრირებულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება რეესტრის მონაცემები.

მნიშვნელოვანია ასევე, აღნიშნული წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში ასახოს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც იწვევს რეესტრში ცვლილებების განხორციელებას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებულ მონაცემებში ცვლილებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ აგრარული უნივერსიტეტის მიერ, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების, ისე სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას დაირღვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის „დ"ქვეპუნქტი.

2. აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების დარღვევით. *კერძოდ:*

2.1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 3 ნოემბრის №15-05/104 ბრძანების 3.1. პუნქტის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ კონკურსი გამოცხადებული იყო მიმართულებების მიხედვით თითო-თითო საშტატო ერთეულზე: აგრონომიის მიმართულებით - ერთ საშტატო ერთეულზე, კვების პროდუქტების ტექნოლოგიების მიმართულებით - ერთ საშტატო ერთეულზე და ა.შ.

მონიტორინგის ჯგუფის განმარტებით, დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილი და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ გიორგი კვესიტაძე და დავით ბედოშვილი იკავებდნენ აკადემიურ თანამდებობებს აგრონომიის მიმართულებით. შესაბამისად, ერთ საშტატო ერთეულზე განხორციელდა ორი პიროვნების არჩევა, რაც წინააღმდეგობაშია აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 3 ნოემბრის №15-05/104 ბრძანების 3.1 ქვეპუნქტთან.

დაწესებულების წარმომადგენელთა ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტების შესაბამისად, გიორგი კვესიტაძე და დავით ბედოშვილი აკადემიურ პერსონალად დაინიშნნენ სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: გიორგი კვესიტაძე - სრულ პროფესორად კვების პროდუქტების ტექნოლოგიების მიმართულებით, ხოლო დავით ბედოშვილი - ასისტენტ პროფესორად აგრონომიის მიმართულებით; თუმცა, უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 20 დეკემბრის №04-01/01-414 ბრძანებაში, რომლითაც განხორციელდა კონკურსის შედეგად დაწესებულებაში აკადამიურ თანამდებობაზე პირთა დანიშვნა, არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი პირი, რა მიმართულებით დაინიშნა აკადემიურ თანამდებობაზე. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელთა ახსნა-განმარტება დოკუმენტალურად ვერ დადასტურდა.

გასათვალისწინებლია ის გარემოებაც, რომ 2013 წლის 25 თებერვალს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის №15-03/023 ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი რექტორის ზემოაღნიშნული 2011 წლის 3 ნოემბრის №15-05/104 და 2011 წლის 20 დეკემბრის №04-01/01-414 ბრძანებები.

2.2. აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 3 თებერვლის №15-05/003 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტთა განცხადებები მიღებულ იქნა 3 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, რაც წინააღმდეგობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნტთან, კერძოდ, არ არის დაცული საკონკურსო განაცხადებების მიღებამდე გამოქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა.

შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსით დანიშნული პირები - ზურაბ ჯიბუტი და დევი დობორჯგინიძე - ვერ ჩაითვლებიან სამართლიანი კონკურენციის პირობებში, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით ჩატარებული კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნულ პირებად.

აღსანიშნავია, რომ აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 25 თებერვლის №15-03/026 ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი, როგორც კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2012 წლის 3 თებერვლის №15-05/003 ბრძანება, ასევე, ამ კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ რექტორის 2012 წლის 16 მარტის №04/01-83/1 ბრძანება.

2.3. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევითაა გამოცემული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 16 მარტის №15-03/006 ბრძანება, რომლის 4.1. ქვეპუნტის შესაბამისად, საკონკურსო განაცხადების მიღება წარმოებდა 2012 წლის 22 მარტიდან 23 აპრილის ჩათვლით, რაც წინააღმდეგობაშია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, კერძოდ, ამ შემთხვევაშიც, არ არის დაცული საკონკურსო განაცხადის მიღებამდე გამოქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა.

აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 25 თებერვლის №15-03/024 ბრძანებით, ბათილად იქნა ცნობილი, როგორც კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2012 წლის 16 მარტის №15-03/006 ბრძანება, ასევე, ამ კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ რექტორის 2012 წლის 3 მაისის №04/01-156/1 ბრძანება.

2.4. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების დარღვევითაა გამოცემული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 7 თებერვლის №15-03/014 ბრძანებაც:

ა) აღნიშნულ ბრძანებაში არ არის მითითებული არც ღია კონკურსის წესით დასაკავებელი საკონკურსო საშტატო ვაკანტური ერთეულების ოდენობა და არც ვაკანტური საკონკურსო თანამდებობები (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ...), რაც, საბჭოს აზრით, შეუძლებელს ხდის ღია კონკურსის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამჭვირვალობისა და სამართლიანი კონკურენციის პირობებში ჩატარებას და ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) აღნიშნული ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულია აკადემიური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა პროფესიული ნიშნით, რა შემთხვევაშიც, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. აღსანიშნავია, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაწესებულებას შეუძლია განსაზღვროს აკადემიურ თანამდებობაზე პირთა არჩევის საგამონაკლისო წესი, კერძოდ, პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით კვალიფიკაციის დადასტურების შესაძლებლობა. თუმცა, ეს წესი, ამავე საკანონმდებლო ნორმის თანახმად, გაწერილი უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში, ხოლო ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდება მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს, რითიც საბჭოს აზრით, ასევე დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

გ) უდავოდ არ დასტურდება „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" 2013 წლის 7 თებერვლის №15-03/014 ბრძანების, კონკურსანტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე საჯაროდ გამოქვეყნების ფაქტი, რაც წარმოადგენს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნას. კერძოდ, საქმეში მოიპოვება „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 7 თებერვლის

N15-03/014 ბრძანების აგრარული უნივერსიტეტის მიერვე დამოწმებული ორი ვერსია. ამასთან, ერთ შემთხვევაში საკონკურსო განცხადებების მიღება იწყება 2013 წლის 8 მარტიდან (პ.7), ხოლო მეორე შემთხვევაში - 2013 წლის 9 მარტიდან (პ.7); აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს თავად ამ ბრძანების სანდოობას. ამასთან, პირველ შემთხვევაში საკონკურსო განცხადება უნდა გამოქვეყნებულიყო 2013 წლის 8 თებერვალს, ხოლო მეორე შემთხვევაში - 2013 წლის 9 თებერვალს. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2013 წლის 7 თებერვლის №15-03/014 ბრძანებით გამოცხადებული აკადემიური კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდა მხოლოდ გაზეთ „24 საათში" (აღნიშნული ბრძანება დაწესებულებას არ ჰქონდა განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე). საბჭოს მიერ გაზეთ „24 საათის" ვებგვერდზე განთავსებული ნომრების ელექტრონული ვერსიებისა და ამავე ნომრების ბეჭდური ვერსიების შედარების შედეგად დადგინა, რომ

- გაზეთის 2013 წლის 8 თებერვლის ნომერში საკონკურსო განცხადება საერთოდ არ იყო გამოქვეყნებული;

- გაზეთის 2013 წლის 9 თებერვლის ელექტრონული ვერსია შეიცავდა აგრარული უნივერსიტეტის საკონკურსო განაცხადს, მაშინ როცა ამავე ნომრის ბეჭდური ვერსია აგრარული უნივერსიტეტის საკონკურსო განაცხადს არ შეიცავდა;

- აგრარული უნივერსიტეტის აკადემიური კონკურსი გამოქვეყნებულია გაზეთის 2013 წლის 12 თებერვლის ნომრის, როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდურ ვერსიაში;

დ) საგულისხმოა, რომ წინამდებარე კონკურსის შედეგები, საკონკურსო განაცხადების შეტანისა და გამარჯვებულთა გამოვლენის შემთხვევაშიც კი, ვერ დადგებოდა 2013 წლის 14 მარტამდე, შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამები შემოწმების პერიოდშიც (2013 წლის იანვარი) და ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის (2013 წლის მარტი) ფუნქციონირებდა აკადემიური პერსონალის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული უნივერსიტეტის მიერ დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის „ე" და „ვ" პუნქტებისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების" 27-ე მუხლის მოთხოვნები.

3. აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის რვავე მოწვეული ლექტორის ხელშეკრულებას გასული ჰქონდა მოქმედების ვადა. ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზეც, სადაც მოწვეული ლექტორების უმრავლესობასთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებს მოქმედების ვადა აქვს გასული, კერძოდ, ხელშეკრულებების ნაწილი მოქმედებდა 2013 წლის პირველ თებერვლამდე, ნაწილი კი - 2013 წლის პირველ მარტამდე.

საბჭო ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებას, მოწვეულ პედაგოგებთან საათობრივი ანაზღაურების წესით, სემესტრული შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკის კანონიერების თაობაზე, თუმცა, ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- რიგ შემთხვევებში, მოწვეულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები სემესტრზე უფრო ხანგძლივი ვადით არის დადებული; შესაბამისად, საბჭოსათვის

გაუგებარია აღნიშნული შრომითი ხელშეკრულებებისათვის ვადის გასვლის ახსნა სემესტრული ხელშეკრულებების პრაქტიკით, მით უფრო, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის სასწავლო სემესტრი დაწესებულებაში უკვე დაწყებული იყო, ხოლო ახალი სემესტრული შრომითი ხელშეკრულებები დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა;

- რიგ შემთხვევებში, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 2013 წლის თებერვალში და მოქმედებს 2011 წლიდან, რაც, საბჭოს აზრით, მიანიშნებს, რომ აღნიშნულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები შრომითი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის გაფორმებული არ ყოფილა (მაგალითისათვის, იხ. 11.03-12.03.2013, №3 სხდომის ოქმი, გვ. 30, გვ. 53, გვ. 56);

ზემოაღნიშნული, საბჭოს აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აგრარული უნივერსიტეტის მიერ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-11 მუხლის „ვ" ქვეპუნქტი.

4. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს არსებული დოკუმენტაციისა და სტანდარტის დარღვევის გამოსწორების მიზნით დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე საბჭომ დაადგინა, რომ როგორც მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებულ „სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში", ისე დაწესებულების მიერ სტანდარტის დარღვევის გამოსწორების მიზნით წარმოდგენილ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში", სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულია „სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენისას ფინანსური დავალიანება" („სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" მე-12 მუხლის 12.2. პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი; „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი). ამასთან, არც ძველი და არც ახალი რედაქციის „წესში" ფინანსური დავალიანება არ არის მითითებული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებში. აღნიშნული კი, წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმად, ფინანსური დავალიანება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეჩერების (და არა შეწყვეტის) საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს მიაჩნია, რომ აგრარული უნივერსიტეტის მიერ დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი და შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „დ" პუნქტი.

5. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 21 აგვისტოს №15-04/259 ბრძანებით, აღდგენის წესით, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის

ბიზნესის მართვის სპეციალობის მეოთხე კურსზე ჩაირიცხნენ სტუდენტები დავით გოგილაშვილი და მარიამ ჭყონია, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკან თეკლე გურიელის 2012 წლის 24 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 27 აგვისტოს №15-04/260 ბრძანებით, „ბიზნესის და მართვის“ სპეციალობის კურსდამთავრებულებს - დავით გოგილაშვილს და მარიამ ჭყონიას მიენიჭათ კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, სპეციალობით „ბიზნესი და მართვა“. შესაბამისად, ორივე სტუდენტს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მათი აღნიშნული სტატუსი (კურსდამთავრებული) აისახა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

აგრარული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს დამტკიცებულია „სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი” (განხილულია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, 2011 წლის 21 აპრილის №1 ოქმი), რომლის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ „საუ აღიარებს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ აკადემიურ ხარისხებს. საზღვარგარეთ გაცემული დოკუმენტის აღიარება რეგულირდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 50-ე მუხლით.“

საბჭო აღნიშნავს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განათლების აღიარებას ახდენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ამასთან, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დეტალური წესი გაწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“, რომლის შესაბამისადაც, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად); ამავე წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით ცენტრი ახდენს უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებასა და საგანმანათლებლო დოკუმენტში ასახული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას; ამავე წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული პროფესიული ან უმაღლესი განათლების აღიარების განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ ცენტრი ადგენს სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებთან, ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ცენტრის მიმართვის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულება 10 დღის ვადაში ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და შეიმუშავებს დასკვნას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ; ამავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, აღიარება ფორმდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული დასკვნით, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები დაწესებულების პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭოს მიაჩნია, რომ დარღვეულია, როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლი, ასევე, ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-5 მუხლის მე-6, მე-7 და მე-13 პუნქტები.

საბჭო აღნიშნავს, რომ მარიამ ჭყონიამ და დავით გოგილაშვილმა სომხეთის რესპუბლიკაში, სომხეთის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე ცენტრში განაცხადი წარადგინეს მხოლოდ 2013 წლის 8 და 12 თებერვალს, ხოლო მათი განათლების აღიარება ცენტრის მიერ მოხდა 2013 წლის 25 თებერვალს, მაშინ, როცა ორივე პირს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი უკვე მინიჭებული ჰქონდა აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 27 აგვისტოს №15-04/260 ბრძანების საფუძველზე.

ამდენად, აღნიშნული ქმედებით გარდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დარღვევისა, დაირღვა ასევე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმად, ბაკალავრი არის აკადემიური ხარისხი, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება და მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. საბჭოს აზრით, ეჭვქვეშ დგება დავით გოგილაშვილისა და მარიამ ჭყონიასათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების კანონიერების საკითხიც, ხოლო აღნიშნული დარღვევის გამოსწორებად ვერ ჩაითვლება მარიამ ჭყონიასა და დავით გოგილაშვილის სომხეთის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში მიღებული განათლების, სასწავლო პროცესის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდგომ, კერძოდ - 2013 წლის 25 თებერვალს აღიარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული უნივერსიტეტის მიერ დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი.

6. აგრარული უნივერსიტეტი 2012 წლის სექტემბერ-ნოემბერში ახორციელებდა სასწავლო პროცესს სადოქტორო პროგრამებზე, რომელთა ფარგლებშიც, განხორციელდა, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის შეცვლა, სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცედურები, სადისერტაციო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ არ მომხდარა დადგენილ ვადაში ამ პროგრამაზე ჩარიცხული ცალკეული დოქტორანტებისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება. საბჭოს აზრით, ზემოაღნიშნული აქტივობები ნამდვილად ადასტურებს პროგრამის განხორციელების პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული ცალკე აქტით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაწყებისა და დასრულების ვადები, საბჭო ვერ გაიზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პროგრამა 2011-2012 სასწავლო წლის ფარგლებში

მიმდინარეობდა 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი აკადემიური წელი გრძელდება 38-45 სასწავლო კვირა. შესაბამისად, 2011-2012 სასწავლო წელი 2012 წლის ნოემბერში ვერ გაგრძელდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარული უნივერსიტეტის მიერ დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

7. საბჭო აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში ბიბლიოთეკის თაობაზე დაფიქსირებული ხარვეზი დაწესებულების მიერ ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული. ამასთან, სტანდარტის დარღვევის გამოსწორების მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგაც, დაწესებულების ბიბლიოთეკაში არ დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამების რიგ სილაბუსებში (იხ. 11.03-12.03.2013, №3 სხდომის ოქმი, გვ. 69) მითითებული სავალდებულო ლიტერატურის თუნდაც ერთი ეგზემპლარის (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) არსებობის ფაქტი. აღნიშული სახელმძღვანელოების ნაწილში არ მომხდარა მიღება-ჩაბარების აქტის ან ბიბლიოთეკის სარგებლობაში მათი გადაცემის დამადასტურებელი სხვა რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა. ასევე, ვერ დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენელთა ზეპირსიტყვიერი განმარტება იმის თაობაზე, რომ თუ არ არსებობს შესაბამისი ლიტერატურის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩასწორდა სილაბუსები და შესაბამისად, ხარვეზებიც გამოსწორდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აგრარულ უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-10 მუხლის „თ“ქვეპუნქტის დარღვევა, გამოუსწორებელი რჩება.

საბჭო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭომ არ გაიზიარა მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რიგი შენიშვნები, კერძოდ:

1. მონიტორინგის ჯგუფი, დასკვნაში მიუთითებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-10 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის დარღვევაზე, რომლის შესაბამისადაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსთან დაკავშირებით სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები. მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნდა, რომ სასწავლო ფართი არ იყო აღჭურვილი სათანადო ინვენტარით (ზოოვეტერინალური კლინიკის არარსებობა). საბჭომ, სხდომაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ შენიშვნა არ

უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად არ დასტურდება აღნიშნული სტანდარტის დარღვევის ფაქტი;

2. მონიტორინგის ჯგუფი, დასკვნაში მიუთითებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის „მ" ქვეპუნქტის დარღვევაზე, რომლის შესაბამისადაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსთან დაკავშირებით სტანდარტი დაკმაყოფილებულია, თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. აგრარული უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის ჯგუფისთვის წარდგენილი იყო აგრარული უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „სამეცნიერო-კვლევითი პროექტები თანდართული ბიუჯეტებით". მონიტორინგის ჯგუფმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან არ ჩანდა თუ რა სახის პროექტები იყო დაფინანსებული უნივერსიტეტის შიდა გრანტებით და აისახა, თუ არა ეს გრანტები უნივერსიტეტის ბიუჯეტში, რექტორის ეს ინიციატივა მიიღო, თუ არა დამფუძნებელმა და ა. შ.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან, შესაძლოა, დაწესებულების მიერ კვლევების დაფინანსების ბიუჯეტში ასახვის ფორმალური მხარე არ იყო დაცული, თუმცა, ფაქტობრივად დაწესებულება საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებაში, რის გამოც საბჭომ მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ სტანდარტის ეს მოთხოვნა დაცულია;

3. მონიტორინგის ჯგუფი, დასკვნაში მიუთითებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის დარღვევაზე, რომლის შესაბამისადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო, თუ დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). მონიტორინგის ჯგუფი აღნიშნავდა, რომ პროგრამას არ აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა (აღნიშნული შეეხება, საგნების სემესტრულ მონაცვლეობას სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადის მიხედვით და ასევე, სამაგისტრო პროგრამებში არჩევით დისციპლინებს).

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეთანხმდა, რომ აღნიშნულ ნაწილში სტანდარტის დარღვევა ცალსახად და უტყუარად არ იყო დასაბუთებული;

4. მონიტორინგი ჯგუფი, დასკვნაში მიუთითებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის დარღვევაზე და აღნიშნავდა, რომ ვებგვერდზე შეცდომით იყო მითითებული აკადემიური პერსონალი; არასრულყოფილი იყო ბიბლიოთეკის ნაწილი;

არ იყო სრულად გამოქვეყნებული საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისად, დარღვეული იყო მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ მიუხედავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შინაარსისა, მონიტორიგნის ჯგუფის მიერ დადგენილი სტანდარტის დარღვევა არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან, აგრარული უნივერსიტეტის ვებგვერდი ძირითადად ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. საბჭომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ სამართლისა და ჟურნალისტიკის პროგრამები მილევად რეჟიმში ხორციელდება და მასზე მიღება არ წარმოებს, შესაბამისად, საინფორმაციო უზრუნველყოფის ნაწილში ვებგვერდზე ამ პროგრამების გამოუქვეყნებლობა, საბჭოს აზრით, ვერ დააკნინებდა ვებგვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფის დანიშნულებას.

საბჭო, დამატებით მიუთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, და აღნიშნავს, რომ დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

საბჭო აღნიშნავს, რომ 26.02-01.03.2013 - №2 ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, აგრარულ უნივერსიტეტს მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული სტანდარტების დარღვევების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით მიეცა ერთი დღის ვადა (იხ. ოქმი 26.02-01.03.2013, №2).

ამავე დროს, საბჭო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ აგრარულ უნივერსიტეტს 2013 წლის 11-12 მარტის სხდომაზე დაუდასტურდა უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ავტორიზაციის ისეთი სტანდარტების დარღვევა, რომელთა გამოსწორებაც შეუძლებელი იყო ან/და მათი გამოსწორებისათვის არასაკმარისი იყო 15 დღე; კერძოდ, საბჭოს მხედველობაში აქვს:

- აკადემიური პერსონალის ღია კონკურსით შერჩევა და საგანმანათლებლო პროგრამების მხოლოდ მოწვეული ლექტორების მიერ განხორციელების დაუშვებლობა (დარღვეულია ავტორიზაციის დებულების მე-11 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები);
- სტუდენტებისათვის სომხეთში მიღებული განათლების აღიარება და კვალიფიკაციის მინიჭება (დარღვეულია ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი);
- არააკრედიტირებულ რეჟიმში სადოქტორო პროგრამის განხორციელება (დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-4 პუნქტი)

შესაბამისად, საბჭოსათვის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში აშკარა გახდა, რომ ამ ხარვეზებთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ აგრარული უნივერსიტეტისთვის, დამატებით, 15 დღიანი ვადიდან დარჩენილი - 14 დღის განსაზღვრის შემთხვევაშიც კი, ავტორიზაციის სტანდარტების ყველა დარღვევის აღმოფხვრა ვერ მოხერხდებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56[2] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56[4]-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე, საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26.02-01.03 №2 და 11-12 მარტის №3 სხდომის ოქმების შესაბამისად, საბჭომ, ღია კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211325653) გაუუქმდეს ავტორიზაცია 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის (მიმდინარე) სემესტრის დასრულებისთანავე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26.02-01.03 №2 ოქმი (გარდა პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილებისა) და 2013 წლის 11-12 მარტის №3 სხდომის ოქმი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია